პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 42 (19783) ოთხშაბათი, 18 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ვიცხოვროთ გარდაქმნის სურვილით

ბოლო მდგომარეობა შეიქმნა მიმდინარე წლის იანვარში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მრეწველობაში. პირველი თვის შედეგები მოწმობს, რომ არნახულად დაძაბული მუშაობა მოგვიწევს უმრავი დაბრკოლების გადასალახავად, ადამიანის ფაქტორის ნამდვილი გააქტიურება კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, შესაძლებლობის მაქსიმალური მობილიზაცია გეგმით დასახული მიზნების დასაძლევად და სტაბილური შედეგების მისაღწევად.

ეს არ იცის, თუ როგორ შეაფერხა დასავლეთ საქართველოს რეგიონების სამრეწველო საწარმოების, სათბობ-ენერგეტიკული და კომუნალური სამსახურების, ეკონომიკის სხვა დარგების ნორმალური მუშაობა უწყვეტელო დიდთოვლობამ, ზვავების ჩამოწოლამ, შემდეგ კი გადაუღებელმა კოკისპირულმა წვიმებმა და წყალდიდობამ.

სტიქიურ უბედურებასთან შრომელთა ორგანიზებული ბრძოლისა და ყველა საშუალებების ამოქმედების, ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების, მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად მოვალი რიგი ძირითადი მაჩვენებლების მისნდვით იანვრის გეგმა შინდ შესრულდა. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა ამ პერიოდში მთლიანად მრეწველობაში 102,5 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებული 102,7 პროცენტის ნაცვლად 105,4 პროცენტს მიაღწია. ისიც უნდა ითქვას, რომ საერთოდ, შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზეა მიღებული პროდუქციის მთელი მატება.

ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ საერთო მდგომარეობა მრეწველობაში სახარბიელო ვერ არის. როგორც ზემოთ ითქვა, უნდა ავამოქმედოთ ყველა შესაძლებლობანი იანვარში დაშვებული ჩამორჩენის დასაძლევად.

საქმე ის არის, რომ ზემდგომი ორგანოების არაერთგზის მითითების მიუხედავად ვერა და ვერ დამყარდა წესრიგი პროდუქციის გამოშვების გეგმის თვეებისა და კვარტალების მისნდვით თანაბარი განაწილების მიმართულებით. მრეწველობის დარგებს, მთელ რიგ საწარმოებსა და გაერთიანებებს გამოსაშვები პროდუქციის სიმძიმე გადაეკეთა შემდგომი პერიოდისათვის, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალზე უარყოფითად მოქმედებს საერთოდ მუშაობისა და კერძოდ, პროდუქციის ხარისხზე.

მიგიქციეთ ყურადღება, რა შეტად არასახიამოვნო ფაქტთან გვაქვს საქმე; იანვარში 200 საწარმოს და გაერთიანებას ჰქონდა გათვალისწინებული წარმოების მოცულობის შემცირება, ფაქტობრივად კი ამ ციფრმა 220-ს მიაღწია, რაც მათი საერთო რაოდენობის 27,5 პროცენტს შეადგენს. მომხმარებელმა ვერ მიიღო 47,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებამ იანვარში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4,9 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია გამოუშვა, ხოლო „საქთვეზრეგვმა" — 4,7 მილიონი მანეთით ნაკლები. დიდძალი პროდუქციის დამზადება ვერ უზრუნველყვეს თბილისის „ჩარხმშენებლის", „საქქვანახშირის", „ელვას", სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, ზესტაფონის „საკაბელის", თბილისის ელექტროშესადაღები მოწყობილობისა და ქუთაისის ლითონფონის ქარხნებმა. შესაბამისად 12,4 მილიონი მანეთითა და 2,4 მილიონი მანეთით შემცირეს პროდუქციის გამოშვება შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობისა და ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებმა.

საქმის ასეთი ვითარების მარტო უმინდობით, სტიქიური უბედურებით, ან მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უქონლობით ახსნა არ იქნებოდა მართებული. ფაქტია, რომ ავდრით დაზარალებული რეგიონები პრაქტიკულად არ ჩამორჩებიან ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მისნდვით, როგორიც, წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ტემპის ზრდაა. ეს კი ნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მრეწველობაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი არა და არ ქმარა. გარდატეხა მრავალი შრომითი კოლექტივის გვერდის ავლით ხდება, და ეს ითქვა კიდეც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ახლახან გამართულ სელექტორულ თათბირზე, რომელზე შეაჯამეს ეკონომიკურ-სოციალური განვითარების მიმდინარე წლის იანვრის სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგები და დასახეს თებერვლისა და მოლიანად პირველი კვარტალის დაკალებათა რეალიზაციის ღონისძიებანი.

პრინციპული მსჯელობის საგანი გახდა ის ფაქტი, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუარესდა პროდუქციის ვალდებულებებით მიწოდების საერთო მაჩვენებელი. განსაკუთრებით სცოდავენ ამ მხრივ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და გაერთიანებები. მკვეთრად იმატა მათ შორის ისეთ საწარმოთა რიცხვმა, რომლებიც არღვევენ სახელშეკრულებო დისციპლინას და შემკვეთს დიდძალ ნაწარმს აკლებენ. საკავშირო დაქვემდებარების 28 საწარმომ დააგვიანა მომხმარებელი და 9,3 მილიონი მანეთის ნაწარმი დააკლო, რაც რესპუბლიკის მრეწველობის მიერ მიუწოდებელი პროდუქციის მთლიანი ღირებულების 63,5 პროცენტს შეადგენს! რესპუბლიკის საერთო საშუალო მაჩვენებელზე დაბალია მანქანათსაშენებელი კომპლექსის მონაცემები. არადა, ვინ არ იცის, თუ რა როლი ენიჭება ამ დარგს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე ერთხელ კიდევ აღინიშნა ის ფაქტი, რომ მეთორმეტე ხუთწლედს ჩვენთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სამამულო მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის, საწარმოო აპარატის განახლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უფოო დაჩქარების საქმეში. ეს აზრი გამომდინარეობს 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნებიდან და მთლიანად ეყრდნობა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს. მანქანათმშენებლობის უპირატესი განვითარება, მისი გამართული, რიტმული შუამობა ყველა სამეურნეო ხელმძღვანელისა და პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს.

ამაოდ ელოდნენ მომხმარებლები ასიათასობით მანეთის პროდუქციას „საქელექტრომანქანის", „ელმავალმშენებლის", „საქქვანახშირის" საწარმოო გაერთიანებებიდან, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი და რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნებიდან. დასანანია, რომ სახელშეკრულებო დისციპლინა ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმაც დაარღვია. ეს საწარმო წინათ სტაბილური მუშაობით გამოირჩეოდა, მასზედ არაერთი კარგი სიტყვა თქმულა და დაწერილა.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო რომ მიწოდების ვალდებულებებს ვერ ასრულებს, ამას მივეწიეთ, მაგრამ რა დავმართა ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელ სამინისტროს, რომელმაც ეს მაჩვენებელი შარშანდელთან შედარებით 5,8 პროცენტით შეამცირა?!

ვერ ვიცავთ მომჭირნეობის რეჟიმს და ამ საქმეშიც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები გვიშლიან ხელს. რა გამოდის: რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულმა საწარმოებმა შარშან 18408 ათასი მანეთი დაზოგეს. სამაგიეროდ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა 36.650 ათასი მანეთი გადახარჯეს, ამით შთანთქეს ადგილობრივი საწარმოების მონაპოვარი და მაინც დაგვავალიანეს. როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს საქმის ასეთ მსვლელობას, ახლა, როცა ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარება, სკკპ XXVII ყრილობის შესაბამისად, მკაცრ მომჭირნეობას ეფუძნება?

გაზეთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 12 თებერვლის ნომერში უკვე იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ გასულ თვეში პროდუქციის სახელმწიფო მიღების გეგმა მხოლოდ 88 პროცენტით შესრულდა. ამ მხრივ ჩამორჩენილმა საწარმოებმა ერთად აღებულმა სახელმწიფოს არ წარმოუდგინეს 12740 ათასი მანეთის პროდუქცია. მოხსენიებული იყო ის საწარმოებიც, რომლებიც ჩამორჩნენ და ამიტომ მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით. მკითხველს შევახსენებთ მხოლოდ, რომ სახმიღებაში არსებულ მდგომარეობას პრინციპული შეფასება მიეცა ზეზოხსენებულ სელექტორულ თათბირზე. აღინიშნა რომ, მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი ფორმალურად მიუდგა ამ საკითხს და არ განახორციელა: სახმიღებისათვის მზადების პერიოდში სათანადო ღონისძიებანი. არავისთვის არ უნდა იყოს საჭირო იმის შეხსენება, რომ სახმიღებისადმი ოდნავი დაუდევარი დამოკიდებულება არავის ეპატიება.

წლეულს რესპუბლიკის 12 სამრეწველო საწარმო სამეურნეო ანგარიშზე — თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე გადავიდა. იანვარი მათ მთლიანად არცთუ ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს. თუმცა, ერთმა მთაგანმა — თბილისის „ელვას" საწარმოო გაერთიანებამ შარშანდელი შესაბამისი პერიოდის ფაქტობრივად მიღწეულ შედეგთან შედარებით პროდუქციის გამოშვების მოცულობა 15,7 პროცენტით შეამცირა, მეორემ — თბილისის საიუველირო ქარხანამ — 20,9 პროცენტით. რაც შეეხება ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ და ქუთაისის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნებს, ვერ უზრუნველყვეს სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა, ზოგიერთმა მთაგანმა კი შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების დონე შეამცირა. ასეთებურად შუამობის პირობებში ამ მაჩვენებლების შეუსრულებლობა ხომ ყოველდ შეუწყნარებელია.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულდა, მაგრამ აქ დასამშვიდებელი არაფერია, საქმე ის არის, რომ შარშან იანვარში მიღწეული ფაქტობრივ დონესთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 98,7 პროცენტი შეადგინა. 239 საწარმომ, ე. ი. მათი საერთო რაოდენობის 33,3 პროცენტმა შეამცირა ეს მაჩვენებელი. მათ შორის არის იმ საწარმოთა უმეტესობა, რომლებიც უკვე დავასახელეთ ჩამორჩენილთა შორის სხვადასხვა მაჩვენებლის მისნდვით, კერძოდ, „ჩარხმშენებლის" და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებები და თბილისის საიუველირო ქარხანა. შარშანდელ ფაქტობრივ დონესთან შედარებით მხოლოდ 85,4 პროცენტი და 90,3 პროცენტი შეადგინა შრომის ნაყოფიერების დონემ შესაბამისად ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელ და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა არასასურსათო სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მხრივაც. ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი სამინისტროს სისტემაში გეგმა 94,7 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში კი 95,1 პროცენტით შესრულდა. „საქელექტრომანქანის" საწარმოო გაერთიანებამ ვერ უზრუნველყო 663 ათასი მანეთის, ხოლო ქუთაისის ლითოფონის ქარხანამ — 334 ათასი მანეთის საქონლის გამოშვება. თბილისის საიუველირო ქარხანამ 287 მანეთის საქონელი დააკლო მომხმარებელს. ამ მხრივ ჩამორჩნენ სხვა საწარმოებიც. რესპუბლიკის მრეწველობამ ვერც „ხ" ინდექსიანი გაუმჯობესებელი ხარისხის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალება შეასრულა. ეს კი მიუთითებს, რომ ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელს კვლავინდებურად შეორეხარისხოვნად მიაჩნია სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმის შესრულება, სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს ამ სერიოზული საქმისადმი, არაფრად აგდებს ადამიანების გუნება-განწყობილებას ამ საკითხთან დაკავშირებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ გარდაქმნა სხვა ფაქტორებთან ერთად — ეს არის უნარი, რომ კარდინალური პრობლემების გადაჭრა შეეფხამოთ იმ მიმდინარე საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც ხალხს აწუხებს.

ერთ საგაზეთო სტატიაში იანვრის მანძილზე დაგროვილი ყველა პრობლემის ანალიზი კი არა, ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. მაგრამ, ერთი რამ ნათელია: შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საჭიროა მტკიცე ღონისძიებანი განვახორციელოთ თებერვლის, პირველი კვარტალისა და მთლიანად მიმდინარე წლის გეგმების ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მისნდვით შესრულებისათვის. მივეცეთ გარდატეხის მსვლელობას ფართო გზა, ვიბრძოლოთ სიახლისათვის ყველა საწარმოში, სიტყვით კი არა საქმით. ვიცხოვროთ გარდაქმნის სურვილით, პირნათლად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს.

ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი რიგაში გაფრინდა

17 თებერვალს მოსკოვიდან რიგაში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი. (საკდესი).

კოსმოსურ ვახტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 17 თებერვალი (საკდესი). კოსმონავტები იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი განაგრძობენ მუშაობას „მირ" პილოტირებულ კომპლექსში. დღეისინი ამონტაჟებენ და ამოწმებენ „პროგრეს-27" ხომალდის მიერ ორბიტაზე დამატებით მიტანილი სამედიცინო აპარატურის მოქმედებას.

სათბობის მაგისტრალების ჰერმეტულობის შემოწმებებისა და ავზებიდან შეკუმშული აზოტის გადმოტუმბვის შემდეგ განხორციელდა სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარის კმაგაწყობა საწვავით.

გუშინ მოეწყო ეკიპაჟის პირველი კომპლექსური სამედიცინო შემოწმება.

შემოწმების შედეგების მიხედვით ამხანაგების რომანენკოსა და ლავეიკინის ჯანმრთელობა კარგია.

„მირის" ორბიტული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

საამქრებიდან გამოპარული



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში რეკონსტრუქციის პარალელურად მიმდინარეობს პროდუქციის გამოშვება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მრავალი სიახლე დაინერგა № 2 საამქროში. მოდერნიზაციის შემდეგ ამუშავდა „ორი ღუმელი, რომლებიც გაცილებით მეტ და უკეთესი ხარისხის ლითონს უშვებენ. ასეთი რეკონსტრუქციისათვის ემზადება საამქროს კიდევ ორი ღუმელი.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ხუთწლედის ორი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ მდნობელთა ბრიგადები, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სულიკო შველიძე (მარჯვნივ) და მურმან შავაძე; მოედინება ზეგეგმითი ფეროშენადნობები.

ა. მაჰაჯარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გადავურჩინოთ კაცობრიობას მომავალი

მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები უურადღებით ეცნობიან კრემლის დიდ სასახლეში გამართული ფორუმის „უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის" მონაწილეთა წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. ადამიანები გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამ ზოგადსაკაცობრიო და ამასთან ყველასათვის ყველაზე მახლობელი პრობლემის — ქვეყნად მშვიდობის მტკიცედ დამკვიდრების გზებზე, საშუალებებზე, გამოხატავენ თავიანთ ნებას. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.

დიახ, უკეთესს გავხდით ქვეყანას

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა „უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის" საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებთან, მისი სიტყვა ამ ფორუმზე ჩვენი მუშა-მოსამსახურეების ყურადღების ცენტრში მოექცა. უდავოდ ტიტანურ შრომას ეწევიან მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის, დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ჩვენი პარტია და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

ჭეშმარიტებაა ისიც, რომ გარდაქმნებს ვახორციელებთ საკუთარი, სოციალისტური არჩევნის შესაბამისად, საზოგადოებრივ ღირებულებათა შესახებ საკუთარი წარმოდგენის საფუძველზე, ვხელმძღვანელობთ საბჭოთა ცხოვრების წესის კრიტერიუმებით. ჩვენს წარმატებებსა და ჩვენს შეცდომებს ვზომავთ მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური საზომით. იმის გამო, რომ გვინდა ჩვენი ქვეყანა უკეთესი გავხადოთ, არავის არაფერი დაუშავდება. მთელი მსოფლიო ამით მხოლოდ მოიგებს.

დიახ, აუცილებლად გავხდით საბჭოთა ქვეყანას უკეთესს და ამ საქმეში თავის უცვლელ წვლილს შეიტანს ჩვენი საწარმოს კოლექტივიც. რომელიც ცხოვრობს გარდაქმნის სურვილით. და ყველაფერს ღონობს საგადოტუმბვის შემდეგ განხორციელდა სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარის კმაგაწყობა საწვავით.

გუშინ მოეწყო ეკიპაჟის პირველი კომპლექსური სამედიცინო შემოწმება.

შემოწმების შედეგების მიხედვით ამხანაგების რომანენკოსა და ლავეიკინის ჯანმრთელობა კარგია.

„მირის" ორბიტული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

კოსმოსურ ვახტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 17 თებერვალი (საკდესი). კოსმონავტები იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი განაგრძობენ მუშაობას „მირ" პილოტირებულ კომპლექსში. დღეისინი ამონტაჟებენ და ამოწმებენ „პროგრეს-27" ხომალდის მიერ ორბიტაზე დამატებით მიტანილი სამედიცინო აპარატურის მოქმედებას.

სათბობის მაგისტრალების ჰერმეტულობის შემოწმებებისა და ავზებიდან შეკუმშული აზოტის

ქვეყანას

მშვიდობიან შრომაში

ინგბრიელი მეჭანიზატორები დიდ საქმეს ვართ შეჭიდებული. ავდარმა საფრთხე შეუქმნა წლევანდელი გეგმების რეალიზაციას, მაგრამ ენერგიას და მონდომებას არ ვიშურებთ მდგომარეობის შემოსაბრუნებლად, მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის მიჯნების მისაღწევად.

შემოქმედებითის შრომაში ჩაბმულ საბჭოთა ხალხს მშვიდობა უნდა. წარმოუდგენელია მივაღწიოთ რაიმე მნიშვნელოვანს, როცა სულ იარაღის ყბარუნი და ომის შუქარა ჩაგვსმის. მაგრამ იმედსა და რწმენას გვინერგავს ატომური ომის წინააღმდეგ აბობოქრებული მსოფლიო, რომელიც გმობს ამერიკელთა თავხედობას და ობიექტურად მოითხოვს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას.

ურთიერთნდობა

16 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ სერგეს ძე გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა „უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის" საერთაშორისო ფორუმის მონაწილეთა წინაშე, პირადად მე, მშვიდობისათვის ბრძოლაში ახალი ეტაპის დასაწყისად მესახება.

ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა უმკაცრესი ლოგიკით დაასაბუთა თუ რა აუცილებელია დღეს პოლიტიკური აზროვნების სიახლე, ბოლოს და ბოლოს გალღობა იმ ყინულისა, რომელიც ასე აცივებს ურთიერთნდობას და, ცხადია, ხელს უშლის განიარაღების საქმეს.

ნახეთ, რა შესანიშნავად ამბობს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი: „საერთაშორისო ურთიერთნდობის ვაადამიანურებისათვის" საჭიროა შესაბამისი მოქმედება ჰუმანიტარულ დარგშიც, კერძოდ იმაში, რაც ეხება ინფორმაციას, ადამიანთა კონტაქტებს, შემოქმედებითს გაცვლას და ა. შ. ეს დაგვეხმარება შეკმნაში მშვიდობის შენარჩუნების ზნეობრივი გარანტიებად და ამით ხელი შეეუწყოთ მატერიალური გარანტიების შემუშავებას. ინფორმაციული აგრესია, რომელსაც ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს, არა მარტო სულიერ სიმწირეს იწვევს, არამედ ხელსაც უშლის სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა ნორმალურ ურთიერთობას, „ულტერების ურთიერთგამგებიდრეობას"...

ჭეშმარიტად რომ ასეა, ამიტომ საჭიროა მეტი ურთიერთნდობა, ამით მხოლოდ მოიგებს მშვიდობის საქმე.

სულხან ცინცაძე.

... ...

პარტიული ცხოვრება: კრიტიკა და პრაქტიკა

მოკითხველობის ინფლაცია

პარტიის წალკის რაიკომში სწორედ მაშინ მივედით, როცა ის-ის იყო ბიუროს სხდომა იწყებოდა.

— თქვენც დაესწარით, — შემომთავაზა პირველმა მდივანმა ა. ოსიპოვმა, — უფრო უტყუარი შთაბეჭდილება შეგექმნებათ ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სტილზე, მის ავ-კარგზე...

სხდომა ზუსტად დანიშნულ დროზე დაიწყო. აქ განხილული ყველა საკითხი, ცხადია, რაიონის ცხოვრებისთვის საჭირო და აუცილებელი იყო, მაგრამ ერთ-ერთი ძათგანი მაინც აშკარად გამორჩეოდა თავისი სიმწვავით — პარტიის რიგებიდან ჯარიცხეს სრულიად ახალგაზრდა კაცი, ხაჭოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი ეკონომისტი მ. მანასიანი. მიზეზი? საკანდიდატო სტაჟის გავლისას საწესდებო მოთხოვნათა დარღვევა, ყალბი რეკომენდაციებით წევრად გახდომა, სასარგებლო საზოგადოებრივი შრომისადმი პერიოდულად თავის არიდება. მანასიანის საკითხმა სხვა რამესაც მოჰფინა ნათელი: საბჭოთა მეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში აშკარად არღვევენ პარტიულ დისციპლინას, სკკპ რიგებში მიღებისას გამოიჩინეს დაუდევრობა, ზარელობა, ძმაბიჭობა. მაშ, აბა, სხვა რით უნდა ავხსნათ, რომ მეურნეობის დირექტორმა ვ. ოგანესიანმა, ბრიგადირმა მ. ოგანესიანმა და უფროსმა ეკონომისტმა ა. ტერბალიანმა მ. მანასიანს ისე, მისცეს რეკომენდაციები, რომ ერთად ათი თვეც კი არ ჰქონდათ ნამუშევარი და ხელრიანად არ იცნობდნენ მას.

— ნუთუ ამის შესახებ თქვენ არაფერი იცოდით? — ჰკითხეს ბიუროს წევრებმა მეურნეობის პარტბიუროს მდივანს ჟ. კლოიანს.

— მე? მე არა... კი, როგორ არ ვიცოდი... მაგრამ... — ენა აუბორძიკდა კლოიანს, — მაგრამ მანასიანი კარგი ბიჭი იყო და!..

— პარტიის წესდებაში არაფერია ნათქვამი „კარგ ბიჭებზე“, — შენიშნა პირველმა მდივანმა, — თუ არადა, ამა რაში გამოიხატა მისი კარგი ბიჭობა: თავს არიდებდა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, რესპუბლიკის გარეთ უთავბოლოდ მგზაურობდა, არ ესწრებოდა პარტიის კრებებს... რის იტყოდით ამაზე?

ჟ. კლოიანმა, რომელსაც მანასიანის საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ადრე, ლიბერალიზმისა და უპრინციპობისათვის საყვედური გამოუცხადეს, კითხვას ვერაფერი უპასუხა და დუმილი ამჯობინა. ბიუროს დაადგინა: უახლოეს დროში სამივე რეკომენდატორის საკითხიც დაწვრილებით იქნეს შესწავლილი და განხილული.

ასეთი ფაქტები, როგორც მაგალითად, მანასიანის პარტიიდან გარიცხვაა, ცხადია, ჩრდილს აყენებს რაიონის პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტს. და სამწუხაროა სწორედ ის არის, რომ მსგავსი რამ აქ უცხო ხილი არ არის: მარტო შარშან სხვადასხვა სახის პარტიული სასჯელი დაედო 5 კომუნისტს, ხოლო პარტიის რიგებიდან გაირიცხა 21 (!) კაცი.

ერთი რაიონისათვის ერთი წლის მანძილზე ამდენი კომუნისტის დასჯა მართლაც უჩვეულოა, მაგრამ იგი ლოგიკური გაგრძელებაა იმ მძიმე მემკვიდრეობისა, წინა წლებში რომ ფეხი მოიმაგრა. სწორედ ამ პერიოდში დამკვიდრებულმა ლიბერალიზმმა, ლენინური პრინციპებიდან გადახვევამ, კადრების შერჩევისა და განაწილების მანკიერმა პრაქტიკამ ბევრ სფეროსა და უბანს მიაყენა ზიანი. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება თუნდაც ის, რომ რაიონში ბოლო ხანს ერთობ მომრავლდნენ დროებით უმუშევარი კომუნისტები. აი თუნდაც, შარშან დეკემბრისათვის მათმა რიცხვმა 13-ს მიაღწია.

პარტიის რაიკომმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად, დროებით უმუშევარი კომუნისტების პრობლემას სერიოზულად მოკიდა ხელი. აქეამად ოთხი კომუნისტის შრომითი მოწყობა უკვე მოგვარებულია. ორი კომუნისტი სხვადასხვა მიზეზით რაიონის ფარგლებიდან სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, დანარჩენი 7 კომუნისტის საქმეც გულმოდგინე შესწავლის პროცესშია და, როგორც პარტიის რაიკომში გვითხრეს, მათი დასაქმების საკითხიც დადებითად გადაიჭრება.

რაიონში არასახარბიელო მდგომარეობა რომ იყო, ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ბოლო რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, სადაც ითქვა, რომ ბიუროების, პლენუმების, აქტივის კრებების მიერ მიღებული დადგენილებების დიდი ნაწილი შეუსრულებელი რჩებოდა. ანალიზმა ცხადყო, რომ პარტიის რაიკომმა ვერ გამოძებნა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისადმი ხელმძღვანელობის საჭირო სტილი, თუმცა საამისოდ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი

მოკითხველობის ინფლაცია

შეიმუშავეს, მაგრამ როცა საქმე შესრულებაზე მიდგებოდა ხოლმე, თავს იჩენდა არათანმიმდევრულობა, ფუნქციათა აღრევა, დაბნეულობა, უხეში ადმინისტრირება. ამიტომაც პარტიის რაიკომი ვერ ასცდა წვრილმან მეურვეობას, უხეში ადმინისტრირება შეუკრა ხელ-ფეხი, წაართვა ინიციატივა, დამოუკიდებლობა, შემოქმედებითი გაბედულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა პარტიული კომიტეტის მუშაობის სწორედ ამ ნაკლოვანებებს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება.

დღეს აღარავის აეჭვება, თუ რა გარდატეხას იხდენს საქმეზე ადამიანის ფაქტორი, მისი ახლებური აზროვნება, ინიციატივა და შემოქმედებითი მიდგომა, განსაკუთრებით კომუნისტების პრინციპულობა და მოწადინება. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ფალკის რაიონის აკრანლოსა და გუმბათის საბჭოთა მეურნეობებიც, რომლებსაც ზუსტად ერთნაირი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები აქვთ, მაგრამ სამეურნეო შედეგები მკვეთრად განსხვავდება. 1985 წელს აკრანლოს საბჭოთა მეურნეობაში კარტოფილის სახეობრეწველო საწარმოს ნაყოფიერების ზრდის ნელი ტემპი. უეჭველად, თავისი ქნა რესპუბლიკებს შორის განსხვავებამაც მრეწველობის სტრუქტურაში, განსაკუთრებით კადრების პროფესიულ მომზადებაში, მართვის ნაკლოვანებებმა, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის დაყოვნებამ.

უნდა გავითვალისწინოთ ცალკეული რაიონების სოფლის მეურნეობის სპეციფიკაც, კერძოდ, ნიადაგების ნაყოფიერების (ბონიტეტის) მაჩვენებელთა სხვაობანი. სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონებს შორის ასეთი სხვაობანი საგრძნობ უპირატესობას უქმნის სამხრეთელებს (ამერკაკაასის და შუა აზიას). ამის შედეგად პირადი საკარმიდამო ნაკვეთები ხშირად ფრიად დიდი შემოსავლის საშუალებას იძლევა. ეს აფერხებს ჯარბმუშახელიანი სასოფლო რაიონებიდან მიგრაციას, ამცირებს სამების მიგნებასა და დანერგვას. მისი შუამბის პრაქტიკა მოწმობს, რომ აქ საჭირო დასკვნები გამოტანეს წარსულის მწარე გაკვეთილებიდან და კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების პროცესსაც სასიკეთო ძვრები დაეტყო. ამის ნათელ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამა თუ იმ ნომინკლატურულ პოსტზე კანდიდატის შერჩევისას პარტიის რაიკომი სწავლობს და ანგარიშს უწევს შრომითი კოლექტივის შეხედულებას, მოსაზრებას, შენიშვნას, გაფრთხილებას, წინადადებას. ამ მეთოდით არაერთი ღირსეული მუშაკი დაწინაურდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის პოსტზე და, უნდა ითქვას, რომ ასეთი ნდობისათვის ხალხიც კმაყოფილია და საზოგადო საქმესაც წინსვლა დაეტყო. ამასთან დაკავშირებით დაინერგა კიდევ ერთი სიახლე: თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატის მოკლე ინფორმაცია უეჭველად ქვეყნდება რაიონული გაზეთის ფურცლებზე, ეს კი საშუალებას აძლევს ყველ მშრომელს საჭიროების შემთხვევაში დროზე და პირუთვნელად გამოთქვას თავისი საფუძვლიანი აზრი, კრიტიკული შენიშვნა, აცილება. ფინალოგიურად იქცევიან სკკპ წევრობის კანდიდატად მიღების დროსაც. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ინფორმირებულია რაიონის მოქალაქე და იცის, ვის იღებენ პარტიაში, სად მუშაობს და ვინ მისცა რეკომენდაციები. მუშაობის ასეთი სტილი საშუალებას იძლევა, რათა საკადრო პოლიტიკასა და პარტიის რიგების ზრდისას არ განმეორდეს წარსულის შეცდომები.

რაიონის მშრომელები ასევე მხარს უჭერენ ხელმძღვანელი მუშაკების ანგარიშების მოსმენასა და პრინციპულ ატესტაციას. ამ ღონისძიებების განხორციელებით ბევრი უპრინციპო და პოლიტიკურად მოუმწიფებელ მუშაკს მოუხდა თანამდებობის დატოვება.

და მაინც, როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა მთლიანად რაიონში? რაიონულ რგოლებსა და პარტიის რაიკომის აპარატს აშკარად ეტყობა გარდაქმნის პროცესი, მაგრამ ძირეულ რგოლებში პრაქტიკულად არ იგრძნობა გარდაქმნა. ამის მკაფიო მაგალითად გამოდგება ქალაქ წალკასთან ერთ-ერთი ყველაზე ახლო მდებარე, დიდი სოფელი ბეშთაშენი, რომლის ყველა სფეროში გამეფებულ უძრაობასა და ხელმძღვანელთა უსულგულობაზე ამას წინათ მეტად პრინციპულად იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ.

ბეშთაშენის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები გარდაქმნის გზების ძიებაზე ფიქრით თავს არ იწუხებენ — ყველაფერი ისევ ძველი კალაპოტით მიედინება მეურნეობაში. ამაში რომ დავწუწუნდეთ, თვალის ერთი გადავლებაც კმარა: ფერმების წოთელი კუთხეები კეთილმოწყობელია, აზრადაც არავის მოსდის იზრუნოს თვალსაჩინო აგიტაციაზე, საპატიო დაფებზე, სოციალისტური შეჯიბრების სწორად წარმართვასა და მისი შედეგების შეჯამებაზე, კედლის გაზეთებზე.

სოფლის სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სფეროში უარესი მდგომარეობაა. ხალხს არ ყოფნის სასმელი წყალი, ჭიანურდება ხიდის მშენებლობა მდინარე ყორსუზე, კვლავ უხეშად ირღვევა მიწათსარგებლობის წესები, სავაჭრო ობიექტებში არ არის ყოველდღიური მოხმარების საგნები, ხოლო ზოგან იყიდება ისეთი საკვები პროდუქტები, რაც მოხმარებისათვის უვარგისია, პური რომ პურია, მისი დროულად და სისტემატური (შემოზიდვაც კი ვერ მოუგვარებიათ. სამომხმარებლო კოოპერატივის სასადილოსა და შენობაში ანტისანიტარია სუფევს. ახლახან გარემონტებულ კლუბში ოვეზე მეტი კინოფილმი არ უჩვენებიათ.

საშუალო სკოლაში, რომელიც ვერ დაიკვეხნის აკადემიური წარმატებებით, არაჯანსაღი ატმოსფეროა გამეფებული. სასკოლო ბუფეტის მეტისმეტი სავიზროვის გამო ბავშვები მოკლებული არიან ცხელ კერძებს. შემოუღობავსა და გავერანებულ სკოლის კარმიდამოს აშკარად აკლია მზრუნველი პატრონის ხელი.

არ თბება არც კლუბი, არც სკოლა, არც საბავშვო ბაღი, ვინაიდან სოფლის მესვეურებს ცეცხლფარეშები ვერ მოუძებნიათ. და ეს მაშინ, როდესაც ყოველდღე სოფლის ცენტრში ასობით უსაქმური იყრის თავს.

ერთი სიტყვით, ფაქტები თავისთავად ყველაფერზე მეტყველებენ და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რაიონის შესაბამისი სამსახურები მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყვნენ, სოფელი ბეშთაშენი ამ უიმედო მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა.

და მაინც ყველაზე მეტი ბრალი მიუძღვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. მაზმანოვს, რომელიც თავის უშუალო სამსახურებრივ მოვალეობას ეკადებოდა ყოველად ინერტულად და უსულგულოდ.

პარტიის რაიკომის ბიუროომ ამას წინათ მკაცრად დასაჯა ამ სოფლის ხელმძღვანელი მუშაკები. მაგრამ გვინდა მკითხველის ყურადღება „გავამახვილოთ ერთ მატად ანგარიშგასაწევ დეტალზე: საკმარისია გამოდგა ბეშთაშენში ზემდგომი ორგანოს წარმომადგენლის ერთი ჩასვლა და სოფლის საჭირბოროტო საკითხებისადმი გულითადი, ფხიზელი პარტიული მიდგომა, რომ ნაკლოვანებები უმალ გამომზეურებულიყო და სათანადო შეფასებაც მიეღო. ხოლო თვით რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებსაც თითქმის ყოველდღე უხდებოდათ ამ სოფელში მისვლა, საჭირო კვლის ვერ ტოვებდნენ და ნაკლოვანებები ისევ ნაკლოვანებებად რჩებოდა. რატომ, იქნებ ვერ ამჩნევდნენ ნაკლს, ანდა ამჩნევდნენ, მაგრამ არ უთითებდნენ?

უბედურება ის იყო, რომ ნაკლსაც ამჩნევდნენ და უთითებდნენ კიდეც. მაგრამ საქმე მაინც არ იძვროდა ადგილიდან, ვინაიდან წლების მანძილზე ხელმძღვანელების მიერ უსისდად ნათქვამი მითითებები იყო ზოგადი, ვალმოსახდელი, ამიტომ მათი სიტყვა საბოლოოდ წყლის ნაყვის ხასიათს იძენდა. რაიონის ხელმძღვანელობის პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზეც ითქვა, „ჭარბობდა კოსერვატიული განწყობილება, ინერცია, მისწრაფება — თავი აერიდებინათ ყველაფრისათვის, რაც ვერ ეტეოდა ჩვეულ სქემებში, უნდომობა — გადაეწყვიტათ მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხები“.

ნუთუ რაიონის სხვადასხვა რგოლისა და რანგის ხელმძღვანელობის მხრიდან არ იყო მომთხოვნელობა? — შეიძლება დაინტერესდეს მკითხველი. იყო, როგორ არ იყო, მაგრამ ამ მომთხოვნელობას აკლდა კონკრეტულობა, დადგენილებებს არ გააჩნდა ზუსტი მისამართები, არ ხდებოდა მათი შესრულების შემოწმება და რაღა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში მომთხოვნელობამ დაკარგა ფხა, თანდათან შესუსტდა და საბოლოოდ ინფორაცია „განიცადა, ანდა, რა პრინციპულ მომკითხველობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი შეანებებულად გაურბის სოფლის მესვეურებთან ურთიერთობის გამწვავებას.

— მაგრამ არის საკითხის მეორე მხარეც, — ამბობს პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ვ. კოტაროვი, — ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილება მიიღო წალკის რაიონზე, რომლის მიხედვითაც 1982-1985 წლებში უნდა აშენებულიყო სარწყავი სისტემის ექვსი ხელოვნური წყალსაცავი, წალკის წყალსაცავის მეორე კაშხალი, თრიალეთ-თიანქმედის 18 კილომეტრიანი გზა, 43 სასოფლო-სამეურნეო და 26 კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ქ. წალკის საკანალიზაციო ქსელი, 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ცეკავშირის ხაზით, უნდა გაფართოებულიყო № 16 მოძრავი-მექანიზებული კოლონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასმელი წყლისთვის ჰიბერილიები უნდა დაეკრათ კლდეკარის მეცხოველეობის კომპლექსში და სოფლებში — სანთაში, ბეშთაშენში, ხანდოში. და მრავალი სხვა რამ იყო გათვალისწინებული, მაგრამ რაც აქ დავასახელე, დღემდე არაფერია გაკეთებული. რესპუბლიკის შესაბამის სამსახურებს ეს დავალებანი ნაწილობრივ მაინც რომ შეესრულებინათ, მაშინ აქაური მშრომელების საქმიანობასაც მეტი ხალისი მიეცემოდა...

ახლა ამოცანა და მთავარი საზრუნავი ის არის, რომ პარტიის რაიკომმა, პირველ-ოდმა პარტორგანიზაციებმა ყველა აოსებული საშუალება და რეზერვი უფრო გონივრულად გამოიყენონ, თითოეული კომუნისტის პოზიცია აქტიური და მებრძოლი გახადონ, რითაც მეტ ქმედითობას შეიძენს გარდაქმნის მთელი პროცესი. „საჭიროა ვიმოქმედოთ, ვიმოქმედოთ, და ერთხელ კიდევ ვიმოქმედოთ — მოგვიწოდა პარტიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, — აქტიურად, გაბედულად, კომპეტენტურად“.

ჯ. მეხრიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ასეთი დევიზით ჟურნალისტთა სახლში გაიმართა შეხვედრა, რომელიც მოაწყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ახალგაზრდულმა სექციამ. გაიმართა საინტერესო დიალოგი ახალგაზრდა ჟურნალისტებსა და სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წამყვან სპეციალისტებსა და მეცნიერებს შორის.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, აღნიშნეს შეხვედრაზე გამოსულებმა — რესპუბლიკის სახაგრომრეწვის აგროსამრეწველო გაერთიანებათა მთავარი სამმართველოს უფროსმა ს. რუხაძემ, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ახალი ტექნიკის დანერგვის სამმართველოს უფროსმა გ. გეთიამ და სხვებმა — მოითხოვს ისეთი კარდინალური პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტას, როგორიც არის მიწის ფონდის რაციონალური გამოყენება, მექანიზაციის უახლესი საშუალებების შემუშავება და დანერგვა, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება მიწის მასივების დიფერენცირებული შესწავლის საფუძველზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენება.

შეხვედრაზე საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მთელი რიგი სამსახურების ხელმძღვანელებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს, მათთან ერთად დასახეს მთელი ოიგი პრობლემები, რომელთა გაშუქება პერიოდული პრესის ფურცლებზე ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზაციას.

(საქინფორმი)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ევგენი ივანეს ძე ჩაზოვი დანიშნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

ბარდაქმნა მოქმედებაში

„ეროვნული პროცესები საბჭოთა კავშირში: მიღწევები და პრობლემები“

თეორიის საკითხები

საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის გადაწყვეტა იმ სახით, როგორითაც წარსულმა დაგვიტოვა, სოციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მიღწევაა. ამასთანავე, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, „ჩვენმა მიღწევებმა არ უნდა შეგვიქმნას წარმოდგენა, თითქოს ეროვნულ პროცესებში პრობლემები არ იყოს“.

პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში თანამიმდევრობა და მეცნიერებითობა კი არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს იმ ცვლილებების ყურადღებით გათვალისწინებას, რომლებიც ამ სფეროში ხდება. გარდაქმნის პირობებში ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, „ნეგატიური მოვლენები და დეფორმაციები, რომლებსაც ბრძოლა გამოუცხადეთ, ეროვნული ურთიერთობის სფეროშიც გაჩნდა“.

* * *

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი წლებიდანვე გამოაცხადა ხალხთა იურიდიული თანასწორუფლებიანობა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, თითქოს მათ ფაქტობრივ თანასწორობას მიაღწევს, უწინარეს ყოვლისა — ეკონომიკაში. ოქტომბრის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ცარისტული მონარქიის უმძიმესი მემკვიდრეობის — ხალხთა ეკონომიკურ განვითარებაში უზარმაზარი სხვაობის ლიკვიდაციისათვის. საჭირო გახდა უდიდესი დახმარება, უწინარესად რუსეთის მუშათა კლასისა, რათა დაგვეძლია წინანდელი ეროვნული განაპირა მხარეების სიღატაკე და ჩამორჩენილობა.

ახლა ყველა საჭირო წანამძღვარი გვაქვს იმისათვის, რომ ეკონომიკურ საკითხებს უწინარესად მთლიანად სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით ვუდგებოდეთ. ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა, რომ თითოეული რესპუბლიკის წვლილი ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში მის მიღწეულ პოტენციალს შეესაბამებოდეს.

ამ ამოცანის რეალიზაციისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სკკპ XXVII ყრილობაზე აღნიშნული ეკონომიკის ის ნეგატიური ტენდენციებიც, რომლებიც 70-იან და 80-იანი წლების დამდეგს გამოვლინდა. არ შეიძლებოდა მათ გავლენა არ მოეხდინათ ეროვნულ პროცესებზეც. ამას განეკუთვნება უწინარეს ყოვლისა ზოგიერთი რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ნელი ტემპი. უეჭველად, თავისი ქნა რესპუბლიკებს შორის განსხვავებამაც მრეწველობის სტრუქტურაში, განსაკუთრებით კადრების პროფესიულ მომზადებაში, მართვის ნაკლოვანებებმა, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის დაყოვნებამ.

უნდა გავითვალისწინოთ ცალკეული რაიონების სოფლის მეურნეობის სპეციფიკაც, კერძოდ, ნიადაგების ნაყოფიერების (ბონიტეტის) მაჩვენებელთა სხვაობანი. სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონებს შორის ასეთი სხვაობანი საგრძნობ უპირატესობას უქმნის სამხრეთელებს (ამერკაკაასის და შუა აზიას). ამის შედეგად პირადი საკარმიდამო ნაკვეთები ხშირად ფრიად დიდი შემოსავლის საშუალებას იძლევა. ეს აფერხებს ჯარბმუშახელიანი სასოფლო რაიონებიდან მიგრაციას, ამცირებს სამების მიგნებასა და დანერგვას. მისი შუამბის პრაქტიკა მოწმობს, რომ აქ საჭირო დასკვნები გამოტანეს წარსულის მწარე გაკვეთილებიდან და კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების პროცესსაც სასიკეთო ძვრები დაეტყო. ამის ნათელ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამა თუ იმ ნომინკლატურულ პოსტზე კანდიდატის შერჩევისას პარტიის რაიკომი სწავლობს და ანგარიშს უწევს შრომითი კოლექტივის შეხედულებას, მოსაზრებას, შენიშვნას, გაფრთხილებას, წინადადებას. ამ მეთოდით არაერთი ღირსეული მუშაკი დაწინაურდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის პოსტზე და, უნდა ითქვას, რომ ასეთი ნდობისათვის ხალხიც კმაყოფილია და საზოგადო საქმესაც წინსვლა დაეტყო. ამასთან დაკავშირებით დაინერგა კიდევ ერთი სიახლე: თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატის მოკლე ინფორმაცია უეჭველად ქვეყნდება რაიონული გაზეთის ფურცლებზე, ეს კი საშუალებას აძლევს ყველ მშრომელს საჭიროების შემთხვევაში დროზე და პირუთვნელად გამოთქვას თავისი საფუძვლიანი აზრი, კრიტიკული შენიშვნა, აცილება. ფინალოგიურად იქცევიან სკკპ წევრობის კანდიდატად მიღების დროსაც. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ინფორმირებულია რაიონის მოქალაქე და იცის, ვის იღებენ პარტიაში, სად მუშაობს და ვინ მისცა რეკომენდაციები. მუშაობის ასეთი სტილი საშუალებას იძლევა, რათა საკადრო პოლიტიკასა და პარტიის რიგების ზრდისას არ განმეორდეს წარსულის შეცდომები.

რაიონის მშრომელები ასევე მხარს უჭერენ ხელმძღვანელი მუშაკების ანგარიშების მოსმენასა და პრინციპულ ატესტაციას. ამ ღონისძიებების განხორციელებით ბევრი უპრინციპო და პოლიტიკურად მოუმწიფებელ მუშაკს მოუხდა თანამდებობის დატოვება.

და მაინც, როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა მთლიანად რაიონში? რაიონულ რგოლებსა და პარტიის რაიკომის აპარატს აშკარად ეტყობა გარდაქმნის პროცესი, მაგრამ ძირეულ რგოლებში პრაქტიკულად არ იგრძნობა გარდაქმნა. ამის მკაფიო მაგალითად გამოდგება ქალაქ წალკასთან ერთ-ერთი ყველაზე ახლო მდებარე, დიდი სოფელი ბეშთაშენი, რომლის ყველა სფეროში გამეფებულ უძრაობასა და ხელმძღვანელთა უსულგულობაზე ამას წინათ მეტად პრინციპულად იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ.

ბეშთაშენის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები გარდაქმნის გზების ძიებაზე ფიქრით თავს არ იწუხებენ — ყველაფერი ისევ ძველი კალაპოტით მიედინება მეურნეობაში. ამაში რომ დავწუწუნდეთ, თვალის ერთი გადავლებაც კმარა: ფერმების წოთელი კუთხეები კეთილმოწყობელია, აზრადაც არავის მოსდის იზრუნოს თვალსაჩინო აგიტაციაზე, საპატიო დაფებზე, სოციალისტური შეჯიბრების სწორად წარმართვასა და მისი შედეგების შეჯამებაზე, კედლის გაზეთებზე.

სოფლის სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სფეროში უარესი მდგომარეობაა. ხალხს არ ყოფნის სასმელი წყალი, ჭიანურდება ხიდის მშენებლობა მდინარე ყორსუზე, კვლავ უხეშად ირღვევა მიწათსარგებლობის წესები, სავაჭრო ობიექტებში არ არის ყოველდღიური მოხმარების საგნები, ხოლო ზოგან იყიდება ისეთი საკვები პროდუქტები, რაც მოხმარებისათვის უვარგისია, პური რომ პურია, მისი დროულად და სისტემატური (შემოზიდვაც კი ვერ მოუგვარებიათ. სამომხმარებლო კოოპერატივის სასადილოსა და შენობაში ანტისანიტარია სუფევს. ახლახან გარემონტებულ კლუბში ოვეზე მეტი კინოფილმი არ უჩვენებიათ.

საშუალო სკოლაში, რომელიც ვერ დაიკვეხნის აკადემიური წარმატებებით, არაჯანსაღი ატმოსფეროა გამეფებული. სასკოლო ბუფეტის მეტისმეტი სავიზროვის გამო ბავშვები მოკლებული არიან ცხელ კერძებს. შემოუღობავსა და გავერანებულ სკოლის კარმიდამოს აშკარად აკლია მზრუნველი პატრონის ხელი.

არ თბება არც კლუბი, არც სკოლა, არც საბავშვო ბაღი, ვინაიდან სოფლის მესვეურებს ცეცხლფარეშები ვერ მოუძებნიათ. და ეს მაშინ, როდესაც ყოველდღე სოფლის ცენტრში ასობით უსაქმური იყრის თავს.

ერთი სიტყვით, ფაქტები თავისთავად ყველაფერზე მეტყველებენ და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რაიონის შესაბამისი სამსახურები მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყვნენ, სოფელი ბეშთაშენი ამ უიმედო მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა.

და მაინც ყველაზე მეტი ბრალი მიუძღვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. მაზმანოვს, რომელიც თავის უშუალო სამსახურებრივ მოვალეობას ეკადებოდა ყოველად ინერტულად და უსულგულოდ.

პარტიის რაიკომის ბიუროომ ამას წინათ მკაცრად დასაჯა ამ სოფლის ხელმძღვანელი მუშაკები. მაგრამ გვინდა მკითხველის ყურადღება „გავამახვილოთ ერთ მატად ანგარიშგასაწევ დეტალზე: საკმარისია გამოდგა ბეშთაშენში ზემდგომი ორგანოს წარმომადგენლის ერთი ჩასვლა და სოფლის საჭირბოროტო საკითხებისადმი გულითადი, ფხიზელი პარტიული მიდგომა, რომ ნაკლოვანებები უმალ გამომზეურებულიყო და სათანადო შეფასებაც მიეღო. ხოლო თვით რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებსაც თითქმის ყოველდღე უხდებოდათ ამ სოფელში მისვლა, საჭირო კვლის ვერ ტოვებდნენ და ნაკლოვანებები ისევ ნაკლოვანებებად რჩებოდა. რატომ, იქნებ ვერ ამჩნევდნენ ნაკლს, ანდა ამჩნევდნენ, მაგრამ არ უთითებდნენ?

უბედურება ის იყო, რომ ნაკლსაც ამჩნევდნენ და უთითებდნენ კიდეც. მაგრამ საქმე მაინც არ იძვროდა ადგილიდან, ვინაიდან წლების მანძილზე ხელმძღვანელების მიერ უსისდად ნათქვამი მითითებები იყო ზოგადი, ვალმოსახდელი, ამიტომ მათი სიტყვა საბოლოოდ წყლის ნაყვის ხასიათს იძენდა. რაიონის ხელმძღვანელობის პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზეც ითქვა, „ჭარბობდა კოსერვატიული განწყობილება, ინერცია, მისწრაფება — თავი აერიდებინათ ყველაფრისათვის, რაც ვერ ეტეოდა ჩვეულ სქემებში, უნდომობა — გადაეწყვიტათ მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხები“.

ნუთუ რაიონის სხვადასხვა რგოლისა და რანგის ხელმძღვანელობის მხრიდან არ იყო მომთხოვნელობა? — შეიძლება დაინტერესდეს მკითხველი. იყო, როგორ არ იყო, მაგრამ ამ მომთხოვნელობას აკლდა კონკრეტულობა, დადგენილებებს არ გააჩნდა ზუსტი მისამართები, არ ხდებოდა მათი შესრულების შემოწმება და რაღა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში მომთხოვნელობამ დაკარგა ფხა, თანდათან შესუსტდა და საბოლოოდ ინფორაცია „განიცადა, ანდა, რა პრინციპულ მომკითხველობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი შეანებებულად გაურბის სოფლის მესვეურებთან ურთიერთობის გამწვავებას.

— მაგრამ არის საკითხის მეორე მხარეც, — ამბობს პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ვ. კოტაროვი, — ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილება მიიღო წალკის რაიონზე, რომლის მიხედვითაც 1982-1985 წლებში უნდა აშენებულიყო სარწყავი სისტემის ექვსი ხელოვნური წყალსაცავი, წალკის წყალსაცავის მეორე კაშხალი, თრიალეთ-თიანქმედის 18 კილომეტრიანი გზა, 43 სასოფლო-სამეურნეო და 26 კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ქ. წალკის საკანალიზაციო ქსელი, 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ცეკავშირის ხაზით, უნდა გაფართოებულიყო № 16 მოძრავი-მექანიზებული კოლონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასმელი წყლისთვის ჰიბერილიები უნდა დაეკრათ კლდეკარის მეცხოველეობის კომპლექსში და სოფლებში — სანთაში, ბეშთაშენში, ხანდოში. და მრავალი სხვა რამ იყო გათვალისწინებული, მაგრამ რაც აქ დავასახელე, დღემდე არაფერია გაკეთებული. რესპუბლიკის შესაბამის სამსახურებს ეს დავალებანი ნაწილობრივ მაინც რომ შეესრულებინათ, მაშინ აქაური მშრომელების საქმიანობასაც მეტი ხალისი მიეცემოდა...

ახლა ამოცანა და მთავარი საზრუნავი ის არის, რომ პარტიის რაიკომმა, პირველ-ოდმა პარტორგანიზაციებმა ყველა აოსებული საშუალება და რეზერვი უფრო გონივრულად გამოიყენონ, თითოეული კომუნისტის პოზიცია აქტიური და მებრძოლ

ასე მოდის წარმატება

შარაანდელი წელი ჭიათურის სახალხო განათლების მუშაკთათვის მარილაც რომ ხვავიანი გამოდგა: ადრინდელთან შედარებით ნნმშვენლოვნად განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; აშენდა ოთხი ბაგა-ბაღის შენობა; მიმდინარეობს სბაავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ეწერში და რვაწლიანი სკოლისა სოფელ რეჩილათში.

სასწავლო დაწესებულებების შეკეთებას[illegible] 12 ათასი მანეთის. შეიძინეს 10 ათასი მანეთის ინვენტარი, 14 ათასი მანეთის სასწავლო ტექნიკური საშუალებანი, 52 ათასი მანეთის სასწავლო თვალსაჩინოება, 23 ათასი მანეთის საბელმძღვანელოები, მხატვრული, და პოლიტიკური ლიტერატურა.

გუმჯობესდა მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, და ამ საქმეში პედაგოგიურ კოლექტივს მხარში უდგანან პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები. მათი ბეჯითი მუშაობით მინიმუმამდე შემცირდა გაკვეთილების გაცდენა, დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

სკოლის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის ძირეული გარდაქმნა. სწორედ ამას ახმარენ თავიანთ ძალისხმევას პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლა მიმაგრებულია სბაზრო ორგანიზაციებზე, სადაც მეცხრე-მეათე კლასის მოსწავლეები შრომითს სწავლებას გადიან.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა შრომითი სწავლების გაუმჯობესების მიზნით საწარმოო უბნებზე გამოყვეს სპეციალისტები, ყმაწვილებს მიუჩინეს სამუშაო და სასწავლო ადგილები. სამკერვალო ფაბრიკამ, მაგალითად, 49 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი გამოათავისუფლა და იქ 8 საკერავი ელექტრომანქანა დაუდგა მოსწავლეებს. მექანიკურმა სახელოსნომ მოაწყო სასწავლო საამქრო, სადაც დამონტაჟებულია 3 სახარატო დაზგა და სხვა.

სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეები ავტოსაქმეს და ტრაქტორებს შეისწავლიან, 5 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უკვე აქვთ მანქანები, 15 საშუალო სკოლაში კი ტრაქტორები და სასწავლო კაბინეტები, ხოლო ქალაქისა და სოფლის მეოთხე-მერვე კლასის მოსწავლეები შრომითს სწავლებას გადიან სასკოლო სახელოსნოებში და საყოფაცხოვრებო მომსახურების კაბინეტებში.

სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ქ. ჭიათურის მეცხრე-მეათე კლასის მოსწავლეთა ნაწილი სასარგებლო მწარმოებელურ შრომაშია ჩაბმული, სადაც ისინი ანაზღაურებას იღებენ. სოფელ სვერის, მანდაეთის, ჩხირაულის, ნიგოზეთის და ხალიფაურის საშუალო სკოლებთან შექმნილია სასწავლო-საწარმოო მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებსაც მოსწავლეები დამოუკიდებლად მართავენ. შარშან სოფელ სვერის საწარმოო მეურნეობამ 77 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა და 68 ცენტნერი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ნიგოზეთის საშუალო სკოლის სასწავლო საწარმოო მეურნეობაში წარმოებულ 7,5 ტონა სიმინდი, 119 კილოგრამი ლობიო, 12,7 ტონა ჩალა. ამის გარდა დამზადდა 10 ტონა თივა, 500 კილოგრამი ეკალა, 700 კილოგრამი ასკილი და სხვა.

მიმდინარე სასწავლო წელს გაიხსნა სასწავლო-საწარმოო მეურნეობა მერჯევის სასშუალო სკოლასთან და სასწავლო-საწარმოო კოლმეურნეობა რგანისა და ქვაციხის სასშუალო სკოლებთან. ქვაციხის სასწავლო მეურნეობაში უკვე გამოიყვანეს 700 ძირი კაკლის ნერგი.

წელს და გაისად სასწავლო-საწარმოო მეურნეობების ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდება — 10 საშუალო და 3 რვაწლიან სკოლებთან შეიქმნება აღნიშნული ტიპის მეურნეობები და კოლმეურნეობები.

ჭიათურის სახალხო განათლების განყოფილება, აგროსამრეწველო გაერთიანების პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად ყოველ ზაფხულის არდადეგებზე აყალიბებს შრომისა და დასვენების ბანაკებს. შარშან ასეთი ბანაკი 17 სკოლაში შეიქმნა. მათ 15 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს.

გასულ სასწავლო წელს მოსწავლეებმა 110 ტონა ჯართი და 30 ტონა მაკულატურა შეაგროვეს. ტრადიციად იქცა ყოველწლიურად მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-ბაზრობა. მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული თანხიდან 7437 მანეთი ჩერნობილელთა დახმარების ფონდში გადარიცხა.

მრავალ სკოლაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები, მოსწავლე ახალგაზრდობას უთითვრობა აქვს ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან.

ბოლო წლებში განმტკიცდა სკოლისა და ოჯახის, საწარმოსა და სკოლების ურთიერთკავშირი. „ცვლა-კლასი“, „მასწავლებელი მოვდა წარმოებაში“ — ამ დევიზით ეწყობა უაღრესად საინტერესო შეხვედრები.

განათლების სისტემის მუშაკთა უურადღების ცენტრშია მუშა ახალგაზრდების სწავლება. 16-29 წლის ასაკის 106 მოსწავლე ეუფლება საშუალო განათლების სასწავლო პროგრამას.

განათლების ფრონტზე მუშაობის ახლებურად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვამ, შრომის ორგანიზაციის და დისციპლინის განმტკიცებამ, სიახლეთა გრძნობამ და მისმა პრაქტიკაში ფართო მასშტაბით დანერგვამ სოციალისტური ვალდებულების პირნათლად შესრულებამ ჭიათურის სახალხო განათლების სისტემას გამარჯვება მოაპოვებინა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჯ. შაქარაშვილი.

„საქართველოს კომუნისტი“ №2

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი მეორე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მასალები: საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ; სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1987 წლის 27 იანვარს — გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ; ამხ. მ. ს. გორბაჩოვის საბოლოო სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1987 წლის 28 იანვარს.

განყოფილებაში „XII ხუთწლედის წინა ხაზზე“ გამოქვეყნებულია წერილები: ა. პატარიძის — ეფექტიანი შრომის რეზერვები; მ. კირკოვის — ენერგოდაზოგვის პროგრამულ-მიზნობრივი მართვა.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „ისტორიით აღზრდა“, „წერილი რედაქციას“; „ამობეჭერებულ სტენიასთან ბრძოლაში“.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში

„**უბირთვო** მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის“ საერთაშორისო ფორუმის შედეგებს შეიჯამებენ პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელიც გაიმართა 16 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

კორესპონდენტების წინაშე გამოსვლისას, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვისათვის, ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლ მეცნიერთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ე. პ. ველიხოვმა მოსკოვში გამართულ ფორუმს ისტორიული მოვლენა უწოდა. ფორუმზე შეიკრიბა დაახლოებით ათასი მონაწილე, რომლებიც პროფესიული ინტერესით მონაწილეობდნენ რვა „მრგვალი მაგიდის“ მუშაობაში. განიხილეს სულ სხვადასხვა საკითხი. ბუნებისმეტყველმა მეცნიერებმა განიხილეს, კერძოდ, ბირთვული გამოცდებისადმი კონტროლის, ბირთვული განიარაღებისა და ევროპის უშიშროების გზების ძიების საკითხები, ბირთვული გამოცდების შეწყვეტასთან, კოსმოსურ იარაღთან და თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებათა თანაფარდობასთან დაკავშირებული პრობლემები.

ეს საერთაშორისო ფორუმი, ხაზგასმით აღნიშნა აკადემიკოსმა, ასახავს საბჭოთა კავშირის ტრადიციას, რომლის მთავრობაც ყოველთვის მზად არის მოისმინოს მეცნიერთა, საქმიანი წრეებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა აზრი, იმათი აზრი, ვინც საზოგადოებრივი აზრის ყველა სპექტრს წარმოადგენს.

მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ყველა შესაძლო სპექტრი როდი იყო წარმოდგენილი ფორუმზე. აკადემიკოსმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, აგრეთვე დასავლთის სხვა ქვეყნების მთელმა რიგმა სხვადასხვა ორგანიზაციებმა არ ურჩიეს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ამ შეხვედრაზე გამგზავრება. მაგალითად, ინგლისელ ფიზიკოსებს, ბიოლოგებს, ეკონომისტებს, ფილოსოფოსებს, ეკლესიის მოღვაწეებს, ფსიქოლოგებს, ექიმებს, ჟურნალისტებს, ადვოკატებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ბიბლიოლოგებს, ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, ინფორმაციულ სამსახურებს, ბიბლიოთეკებს, ინფორმაციულ ცენტრებს, ბიბლიოგრაფიულ ინსტიტუტებს, ბიბლიოთეკებს, ინფორმაციულ ბიბლიოთეკ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ, ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲝᲑᲐ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲡᲦᲘᲥᲘᲡᲐ

ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲒᲝᲛᲘᲐ ᲐᲛᲔᲠ-ᲘᲛᲔᲠᲘ

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲒᲘᲜᲔᲑᲔᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲮᲚᲘᲠᲔᲚᲘ. სტიქიის დაცხრომისთანავე შეუდგნენ აღდგენითს სამუშაოებს სახლირელები. მათი თავდადებული და დაუღალავი შრომის შედეგად ზედიზედ მწყობრში დგება დაზიანებული ობიექტები.

რაიონის ხელმძღვანელები უგუნებოდ გვიყვებიან სტიქიის შედეგებზე. მოსმენილს ნანახი სჯობსო, უთქვამთ, და ჩვენც ადგილზე ნახვა გადავწყვიტეთ იმისა, თუ რა გაკეთდა და კეთდება დანგრეული მეურნეობის აღსადგენად.

თვდაპირველად კუორტ კვერეთისაკენ ავიღეთ გზა. აქ უკვე აღუდგენიათ საქვაბე და წყალსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები, გაუწმენდიათ დატბორილი კარ-მიდამოები, სახელდახელოდ შეუკეთებიათ სამანქანო გზა.

კვერეთიდან აკაკის მშობლიურ სოფელ სხვიტორში ჩამოვედით. ჩიხურას აქაც გაუკრავს „კბილი“ საავტომობილო გზისთვის, კოლმეურნეთა ეზოებში შეჭრილა და დიდძალი სავარგულებიც დაუტბორავს.

ახლა მდინარის სანაპიროებს ამაგრებენ. ერთ უბანში ახალი გზაც გაუყვანიათ, ეზოებიდან ლამსა თუ ქვა-ღორღს ეზიდებიან.

ყვირილას ხეობას დავყვევით. მდელი სანაპირო გაუპარტახებია ღვარცოფად მოვარდნილ მდინარეს, ალაგ-ალაგ მთლიანად წაუღია ჯებირები და რკინაბეტონის ბლოკები თუ კონსტრუქციები. ახლა აქ მუშახელიც საკმაო ტრაილების და იაპონური მარკის ზემძლავრი ტრაქტორიც გამოუგზავნია ამერკაკასიის რკინიგზის სამმართველოს.

ესეც ბამბეულის კომბინატი... საწარმო ნორმალურად მუშაობს, დატბორილი შემოგარენს კი ითბით მანქანა, ტრაქტორი და ექსკავატორი შესევია — ასუფთავებენ სტიქიის ნაკვალევს, სახელდახელოდ ამაგრებენ ჯებირებს.

სოფელ დუნთაში შევხვდით დიასახლის მ. ბულაძეს, რომელიც აღშფოთებული გვიამბობს: კოლისპირული თქში წამოვიდა, მთელი ღამე არ სძინებია სოფელს. დილის ექვს საათზე მთელი ტყიანი ფერდობი მოწყდა და შეაგუბა მდინარე დუნთერა. ცოტაც და, შეგუბებული მდინარე ერთბაშად გადმოსკდა. წამოიღო ხეხილის ბაღები, გზები. დაანგრია ხიდები და ბოგირები, დაშალა და დამეწყრა სახლები, წალეკა სავარგულები...

— სამუშაოს ვერ ავუდგავართ, — გვეუბნება კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი თეიმურ ბუღაძე, რომელიც სტიქიასთან მებრძოლ რაიონულ შტაბს მოუმაგრებია ამ სოფელში და ახლა მიმდინარე სამუშაოებს ხელმძღვანელობს. — ხალხი მობილიზებულია და, ალბათ, დროულად აღვადგენთ საავტომობილო მიმოსვლას. უკვე ნორმალურად მუშაობს ელექტროგადამცემი ხაზი და სატელევიზიო ანძა, მოსახლეობაც უზრუნველყოფილია სურსათით თუ სამრეწველო საქონლით.

ჩვენც იმედიანად ვბრუნდებით საჩხერეში, სადაც გვეუბნებიან, რომ სოფელ ცხომარეთში უკვე დადიან ავტობუსები, რომ ზვავებისა და შეწყრებისგან გაიწმინდა ქორეთის, ჭალვანის, ლიჩისა და სხვა სოფლების გზები, რომ ოპერატიულად მიმდინარეობს გამოღობა არგვეთის ხიდის, სოფელ დურეგის და იცქისის გზების აღდგენა, რომ უამრავი საცალფეხო ხიდი თუ ბოგირი გადეს ამ მიდამოებში.

Ჯ. ᲨᲐᲠᲘᲫᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ. ფუჭია იმ კაცის სიცოცხლე, რომელსაც თავის თავის გარდა არაფიზე უზრუნვია, გაკირვებულისთვის ხელი არ გაუწვდია, მწყურვალი არ დაურწყულებია და ამით თავადაც არ უგრძვნია შვება.

გულს ახარებს გადაძახილი... „ძმური დახმარება მეგობრებს!“, „მობრძანდით, შეგიფარებთ“, საქართველოს ყველა კუთხიდან რომ ისმის დღეს. და განა მარტო საქართველოდან? — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ირკუტსკიდან, საიდან აღარ...

საგარეჯოელებზე უნდა შევჩერდეთ, იმ მაგნანური ღამის მეორე დღესვე რომ შეეხმიანენ ზვავებითა და წყალდიდობით დაზარალებულნი.

აქ ოცდახუთი ოჯახი ჩამოსახლდა მარტო მესტიის რაიონიდან, ოცდაათის კიდევ მოელიან. ყოველ ჩასახლებულ ოჯახს შეფი ორგანიზაცია მიუჩინეს.

160000 მანეთს გადარიცხავენ მეშვიდასე ანგარიშზე საგარეჯოელები.

გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის, მეფრინველეობის ფაბრიკის, აგურის ქარხნის, საგზაო უბნის მშრომელთა კოლექტივები, სხვები და სხვები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ მეტს დაეხმარება გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეთ.

სოფელ მულახიდან ჩამოსული შერმადინ დადვანის ოჯახი ექვსი სულისაგან შესდგება; მრავალშვილიანია ცნობილი მთამსვლელის სპორტის ოსტატის ზვიად გულბანის, სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელის ტელმან გოშელიანის, ჰედაგოგ ჯოტო იოსელიანისა და სხვათა ოჯახები. დღეს ისინი უზრუნველყოფილი არიან ყოველივეთი, რაც კი ოჯახს სჭირდება.

საგარეჯოელთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ბავშვები. აი, რა გვითხრეს ამის თაობაზე რაიონის განათლების განყოფილებაში: — ჩამოსულთაგან 93 ბავშვია, მათ შორის 33 — სასკოლო ასაკისა. ყველა შესაბამის კლასში ჩაირიცხა. უზრუნველყოფილი არიან სასკოლო ფორმებით, ნივთებითა და სახელმძღვანელოებით; ასევე ყველა პირობა შეექმნა ბაგა-ბაღის ასაკის 60 ბავშვს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა და სკოლამდელმა დაწესებულებებმა მათ სამბავშვო ინვენტარ-მოწყობილობა და სათამაშოები გადასცეს. პედაგოგები ნახული და მარლენ მარგიანები, ნელი კორძახია, ნანა გოშთელიანი და ელენა სუბლიანი უკვე თავად ასწავლიან ბავშვებს სკოლაში.

— თანატოლებს პირველ დღესვე მოვუწყვეთ შეხვედრა, ამანთები და საჩუქრები გადავეცით, — გვითხრეს კომკავშირის საგარეჯოს რაიკომში. ახალგახრდები შაბათობასაც მოაწყობენ და გამომუშავებულ თანხას (18.500 მანეთს) მეშვიდასე ანგარიშზე გადარიცხავენ.

... სოფელი უდაბნო, სადაც საბოლოოდ მკვიდრდებიან სვანები. საბოლოოდო, იმიტომ ვამბობთ, რომ არც ერთი მაგანი არ აპირებს უკან დაბრუნებას.

გადავლახეთ გოლგოთები, ჯიქურები, შუაგორი — წყლით სავსე ხეურნიებად რომ გადაკიდებულა „გარეჯის ტბები; სარკესწით ელვარებს მოასფალტებული გზა სოფელ უდაბნომდე.

განახლებული, აღორძინებული სოფლის თავკაცობა სრულიად ახალგაზრდა სანდრო ერმოწონაშვილისათვის მოუნდიათ. აღტაცებთ გვეფაკაკება სოფლის სიკეთეზე, მის მომავალზე. უკვე 272 კომლი ანუ 872 მკვიდრია სოფელში. ლამაზად ჩამწრიგებულან ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ამ ქალაქის ტიპის დასახლებას ყველა თანამედროვე სიკეთე აქვს. გენერალური გეგმით აქ კიდევ 800 საცხოვრებელი ბინა აიგება თვისი საინჟინრო ქსელებითა და კომუნიკაციებით. წლეულსვე დაიწყება სოფლის გაზიფიცირება, აშენდება ცენტრალური გათბობის საქვაბე; გასაწყვეტებულია 4.200 ჰექტარი და ამეფინველე გასაწყვეტდება. სოფლის სიმდიდრეა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, წყალთა სასისტემო სამმართველო, მოძრაგ-მექანიზებული კოლონა №62, წყალმშენის მესამე და მეოთხე სამმართველო, გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი. შენდება მეღორეობის კომპლექსი, დენდროლოგიური პარკი...

მოგინახულეთ ახალმოსახლენი. ყველა, დიდი თუ პატარა კმაყოფილია.

— ისეთი რა დავიმსახურეთ, თავს რომ გვეკლებიან — უხერხულად იშმუშება დიასახლისი დინა ბუხუტაშვილი.

— დამსახურება რა შუაშია, ჩვენი მთა და ბარი ვის გაუკვია, — ეუბნებიან უდაბნოელები.

მაშ ასე, სვანებო — ჩვენო დებო და ძმებო! ვიშრომოთ, ვიცხოვროთ და ვიხაროთ ერთად, ერთად გავიყოთ პირი და ლხინი!

Ვ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲡᲐ

ᲐᲛ ზამთარს ჯვარ-ხაიშ-მესტიის ავტოტრასის თითქმის ოთხმეოცი კილომეტრი გადის ჩამოწოლილი ზვავების ადგილას გაყვანილ „გვირაბებში“.

...ოცდაათი მეტრი სიმაღლის თოვლის შეკეული კედელი ამმართულა გზის უბნის ორივე მხარეს, თოვლში ვერ გაარჩევ, სად არის გზის საზღვარი, ხოლო მაღალი თეთრი კედლები ფარავენ უძირო ხეობებს, სადაც მცირე დაუდევრობის გამოც კი თვალის დახამხამებაში შეიძლება მოხვდეს ბულდოზერისტი. იყო ისეთი შეცდომები, მაგრამ, საბედნიეროდ, ადამიანები ასწრებდნენ კაბინიდან გადმოხტომას, ხოლო მრავალტონიანი გიგანტები ჩვენ თვალწინ იმსხვრეოდნენ და მიფრინავდნენ უფსკრულში. თითქმის ყოველ ნაბიჯზე ამმართულა თოვლის მრავალმეტრიანი ნამქერები, მაგრამ გზის მუშაკები შეუპოვრად მიიწევენ წინ, რათა მანქანებმა ჩაიწონონ მესტიაში და სამიმედოდ დაუკავშირონ სვანეთი გარე სამყაროს.

ამ დღეებში თითქმის 150 კილომეტრი ტრასა დაყოფილია ოთხ უბნად, სადაც ყველგან მძლავრი ტექნიკა მოქმედებს.

მეორე თვეა გაჰყავთ მესტიაში გზა ოჩაჩირელ არველოდი თოფურიას, სოხუმელებს ვლადიმერ ტიხონოვსა და თეოდორე კარიაიანს, ხობის რაიონის № 1 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაკს ამირან გოგავას. უბედურების პირველი ღღეებიდანვე ისინი დასახმარებლად მოვიდნენ. ყველა გაწვლილი დღე-ღამე მთთვის სამუშაო იყო, ყოველ საათს ექსტრემალურ პირობებში უწევდათ მუშაობა. მაგრამ ძირითადი დატვირთვა ადგილობრივმა გზის მუშაკებმა იკისრეს. ესენი არიან საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს „მესტიის“ მექანიზატორები კიაზო დევდარიანი, ზაურ რატიანი და სხვები. ხშირად მშენებლები შეგხვდებოდა სწევენ რისკს, როცა ამ წუთში გავლილ უბანზე კვლავ ჩამოწვება ზვავი. გზა ძალზე საჭიროა — ავდრის გამო ყოველთვის ვერ მოკმედებს ვერტმფრინავების პილოტების მიერ გაყვანილი საჰაერო ხიდი. ამას გარდა, თუ გზის მუდმივად არ გაწმენდავ, მისი კვალიც არ დარჩება. ამიტომ მუშაობა არც ერთი საათით, ღამითაც კი არ წყდება.

— ჩვენი მთავარი ამოცანაა პირველ ხანებში უზრუნველყოთ სპეციალური ტრანსპორტის მოძრაობა, — თქვა საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს „მესტიის“ უფროსმა ივერი ჭელიძემ, — შემდეგ კი ჩვეულებრივი მანქანებისაც. ამოცანა რთულია. მაგალითად, ბულდოზერი ვერ დამდგარა ასფალტზე — ხელს უშლის საკუთარი სიმძიმით დატკეპნილი თოვლი, რომლის სისქე ორ მეტრს აღწევს, ამიტომ, ჯერ-ჯერობით ზედა ფენას ვიღებთ, გზას ვიკვალავთ ჩამოწოლილ ზვავებში, რათა მუხლუხიანმა ტექნიკამ მაინც შეძლოს მოძრაობა. განზრახული გვაქვს, დაახლოებით ერთ თვეში გაეწმინდოთ გზა თოვლისაგან და მაშინ აქ ავტობუსებიც ივლიან.

გზის მუშაკები იმედოვნებენ ამ დღეებში უშგულშიც ჩაიღწონონ და თოვლის ტყვეობისაგან გაათავისუფლონ კიდევ რამდენიმე სოფელი.

Ბ. ᲒᲐᲖᲐᲮᲘᲕᲘ,
საქინფორმის სპეც. კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ვერტმფრინავებმა გადეს საჰაერო ხიდი; მძლავრი ტექნიკა მუშაობს ჯვარ-მესტიის 150-კილომეტრიანი ტრასის გაყვანაზე. მუყაითობით გამოირჩევიან სოხუმელი ვლადიმერ ტიხონოვი და თეოდორე კარაიანი — მამაცობისა და ძმობის ტრასის საუკეთესო მებულდოზერეები; მოხალისე ალპინისტები, რომლებიც მონაწილეობენ საშველ სამუშაოებში.

Შ. ᲐᲘᲕᲐᲖᲝᲕᲘᲡᲘᲡ და Ბ. ᲪᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲒᲖᲐ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲜᲘ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲘᲐᲜ

1987 ᲬᲚᲘᲡ 15 თებერვლიდან 15 აპრილის ჩათვლით საქართველოში ტრანსპორტის საგზაო მოძრაობისა და ქვეითად მოხიარულეთა უსაფრთხოების საგანგებულო დათვალიერებაა.

— თვით ცხოვრებამ გვიკარნახა მისი მოწყობა, — თქვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ **Შ. ᲗᲐᲫᲣᲠᲛᲐ**, — სტიქიამ, რომელიც თავს დაატყდა რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებს, გადარეცხა საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი ნაწილი, იქ ჯერჯერობით საფრთხილოა ტრანსპორტის მოძრაობა.

არის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც განაპირობებს დათვალიერების მოწყობას. მაგალითად, მარშანდელთან შედარებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა საერთო რიცხვი რესპუბლიკის გზებზე შემცირდა, მაგრამ ამასთანავე მკვეთრად გაიზარდა დაჯახებათა რაოდენობა. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ქვეითად მოსიარულენი უგულებელყოფენ გზებზე მოძრაობის ელემენტარულ წესებს. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ გადაჭრილი არ არის ბავშვთა ტრავმატიზმის პრობლემა და იგი ყველა ჩვენგანს აწუხებს.

მოძრაობის უსაფრთხოების ორთვიურის დროს შეგიხვდებიან ბებიის მდგომარეობას, მათ განათებას, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მზადყოფნას, ავტომანქანების, განსაკუთრებით შეკამოწმებთ სამგზავრო ავტომანქანების სწორი ექსპლოატაციისადმი კონტროლის დონეს.

— **და მაინც, მხოლოდ ავტოინსპექტორების მნიშვნელოვანი რაზმის ძალებით ალბათ, გზებზე წესრიგს ვერ დავამყარებთ?**

— ამას განსაკუთრებით მინდა შევეხო. ამიტომ ვსაუბრობ შემთხვევით და მსოფლიო მივმართო ავტოსატრანსპორტო და სხვა საწარმოთა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელს, საზოგადოებრივობის წარმომადგენელს: სანერგო გეგმაქმნაური პროფილაქტიკური მუშაობა. ადგილებზე, პიროვნების მიხედვით მთელი სიმკაცრით დაესაჯოთ კანონის დამრღვევნი, რომლებიც უგულებელყოფენ ჩვენს უსაფრთხოებას.

— **რას მოიცავს ორთვიურის პროგრამა?**

— იგი მოიცავს სკოლებსაც, სადაც მოსწავლეებს წაუკითხავენ 10-საათიან სასწავლო პროგრამას საგზაო მოძრაობის წესების შესასწავლად, კინოთეატრებში უჩვენებენ ფილმებს ამ საკითხებზე. მოიწყობა სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა შეხვედრები სამგზავრო და სატვირთო ავტოსაწყობოთა კოლექტივებთან.

იმ სამმა გარდაბნელმა ჭაბუკმა კარგად იცოდა მოძრაობის წესები, მაგრამ ორი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის, ხოლო მათი ამხანაგი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაშია. ბიჭებს ტროტუარი ევიწროვათ და ტრასაზე გადაიდნენ, იქ კი ერთმანეთის მიგოგავს. ეს ერთ-ერთი ტიპიური ფაქტია. ასეთი ფაქტებიც ბევრია.

— **ეს ალბათ, ადგილობრივი სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოების მუშაობის როლი და ეფექტიანობა — ეს მოძრაობის უსაფრთხოების ორთვიურის კიდევ ერთი ამოცანაა, ამასთან, ყველაზე აქტიური მონაწილეობა ამაში უნდა მიიღონ რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების ხელმძღვანელებმა.**

— **მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება მოწოდებულია არა მარტო გამოავლინოს დამრღვევები, დასაჯოს ახინი, არამედ, ასე ვთქვათ, ხელიც შეუწყოს მძღოლებისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების დაახლოებას, რომლებიც ჯერ კიდევ ერთმანეთის მიმართ მეგობრულად არ არიან განწყობილნი?**

— ამიტომაც ორთვიურის ფარგლებში ვაწყობთ ახალგაზრდა მძღოლთა პირველ რესპუბლიკურ შეკრებას. იგი სახავტომობილიკელთა მუშაკებს საშუალებას მისცემს უფრო ახლოს გაეცნონ მძღოლთა შემადგენლობას, გაიგონ ის პრობლემები, რომლებიც აწუხებს ტრანსპორტელებს, სხვათა შორის, შეკრებაზე დავაჯილდოებთ იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

Ლ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქინფორმის კორ.

ᲡᲘᲗᲑᲝ ᲒᲕᲐᲩᲣᲥᲔᲡ

ᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘ) ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲢᲘᲛᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲘᲡ ᲞᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲓᲐᲜ ᲡᲘᲗᲑᲝ ᲛᲝᲒᲕᲘᲒᲝᲓᲐᲗ“. ᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ.

ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ „ᲡᲐᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ“ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ